



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/15

„ 18 „ ივნისი 2016 წ.

### გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, სამტატო ნუსხისა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, სამტატო ნუსხისა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებაში (დანართი 1)“ შეტანილ იქნეს ცვლილება და 7<sup>1</sup> მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს“ და „ტ“ ქვეპუნქტები:

„ს) განსაზღვრავს სასამართლო სისტემის ერთიან საკომუნიკაციო პოლიტიკასა და შეიმუშავებს სტრატეგიას; უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციას, განახლებასა და კორექტირებას. აღნიშნულის მიზნით, საერთო სასამართლოებიდან გამოითხოვს ინფორმაციას მიმდინარე რეფორმებისა და დაგეგმილი აქტივობების თაობაზე, ქმნის და ხელმძღვანელობს სამუშაო ჯგუფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლების მონაწილეობით;

ტ) უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საერთო სასამართლოების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების კოორდინირებულ მუშაობას; ხელს უწყობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და საერთო სასამართლოების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების თანამშრომლობას.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი